აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა

ქართული პრაქტიკის ანალიზი

აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა

ქართული პრაქტიკის ანალიზი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
2022

მოცემული ანგარიში მომზადდა პროექტის – „იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისათვის“, ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდის მიერ.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორების პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს ღია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე
ანგარიშის ავტორი: მარიამ პატარიძე
რედაქტორი: ნინო ხიდიშელი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ISBN: 978-9941-8-4374-7

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი 6

I. საპოლიციო იძულების ღონისძიებები 8
1. პოლიციის უმოქმედობა 8
2. ჭარბი/ინტენსიური საპოლიციო ძალების მობილიზება 10
3. შეკრების მონაწილეთა დაკავებისა და საპოლიციო ღონისძიებების გასაჩივრების პრაქტიკა 11

II. სასამართლო განხილვები 18

III. გამოძიების არაეფექტურობა 22

შეჯამება 26

შესავალი

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი და სოციო-ეკონომიკური სირთულეები ხშირ შემთხვევაში იწვევს სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივ პროტესტს. ბოლო წლებში გართულებული პოლიტიკური და სოციალური ფონის კვალდაკვალ, ტენდენციის სახეს იძენს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური კონფლიქტების პოლიციის ხელით მართვა. სულ უფრო ნაკლებად ჩანს ხელისუფლების მცდელობა, შექმნას რეალური პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დიალოგის სივრცეები და პრეცედენტები. ამის საპირისპიროდ, ეფექტიანი მმართველობის განხორციელებისას, მეტი აქცენტი კეთდება საპოლიციო იძულებაზე და კონტროლის მექანიზმებზე.

საპოლიციო ძალა სულ უფრო ხშირად გვევლინება პროცესების მართვის წამყვან მექანიზმად, როგორც პოლიტიკური კრიზისების დროს, ისე სხვადასხვა სოციალურ საკითხთან დაკავშირებულ კონფლიქტებში. განსაკუთრებით პრობლემურია ხელისუფლების მიერ ბალანსის დაცვა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა თუ საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლება სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს და ამას უზრუნველყოფს ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენებით. აღნიშნულის პირდაპირი შედეგიც მოქალაქეთა თავისუფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვაა. ამავდროულად, გამოსარჩევია ცალკეულ შემთხვევებში პოლიციის არაეფექტიანობა და დემონსტრაციული უმოქმედობა, რის შედეგადაც უხეშად ილახება მშვიდობიანი შეკრებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები.

სამართალდამცავთა მხრიდან ჭარბი ძალაუფლების დემონსტრირება (და რიგ შემთხვევაში ძალის არარსებობის დემონსტრირება) არა მხოლოდ კონკრეტულ შეკრებებში მონაწილე პირებს ულახავს გამოხატვის თავისუფლებას, არამედ ზოგადად, აღნიშნულს აქვს „მსუსხავი ეფექტი“ ქვეყანაში შეკრებისა თუ გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს კი ცალსახად ემსახურება საზოგადოებაში ერთგვარი შიშის დანერგვასა და ამ გზით საპროტესტო მუხტის ჩახშობას.[1]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პროექტის „იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისთვის“ ფარგლებში 2021 წლიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით წარმოებულ საქმეებსა და მათ ანალიზს. დოკუმენტი აფასებს აღნიშნულ პერიოდში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციებისას საპოლიციო მოქმედებებს, გამოყენებული ძალის პროპორციულობას, უფლებრივ დარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობას.

1 Nurettin Aldemir and Others v. Turkey, § 34; Balçık and Others v. Turkey, § 41; The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, § 135; Nemtsov v. Russia, § 77-78

დოკუმენტში აგრეთვე შეჯამებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სასამართლო განხილვებისას არსებული ხარვეზები, მოქალაქეთა მიმართ და პოლიციის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების დღემდე არსებული შედეგები. დოკუმენტი ეყრდნობა შესაბამისი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას, საჯარო წყაროებში არსებულ მასალას, აგრეთვე პროექტში მონაწილე ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებს/ანგარიშებს.

კვლევაში წარმოჩენილი ტენდენციები და მიგნებები დაფუძნებულია პარტნიორი ორგანიზაციების (,,საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა"- შემდგომში GDI, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" – შემდგომში საია, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი", „უფლებები საქართველო" და „ადამიანის უფლებათა ცენტრი") მიერ 2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 მარტის პერიოდში გაწეულ სამართლებრივ დახმარებასა და სტრატეგიულ სამართალწარმოებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში პარტნიორმა ორგანიზაციებმა სამართლებრივი დახმარება 172 პირს გაუწიეს. აქედან 108 საქმე ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომელთაგან 40 ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში გამართულ აქციებს უკავშირდება, ხოლო 18 უკრაინის სოლიდარობისა და საქართველოს ხელისუფლების კრიტიკისთვის დაკავებულ პირებს. ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თითქმის მესამედზე მოსამართლეებმა აქტივისტებს ჯარიმა დააკისრეს (ჯარიმის რაოდენობა 2000-დან 3800 ლარამდე მერყეობს), მესამედზე კი წარმოება ჯერ არ დასრულებულა. ამ ეტაპზე წარმატებით დასრულდა (შეწყდა წარმოება/არ დადგინდა სამართალდარღვევის ფაქტი/გაუქმდა დადგენილება/ან გამოეცხადა შენიშვნა) 21 საქმე.

სისხლის სამართლის მიმართულებით ორგანიზაციების წარმოებაში 66 საქმეა. აქედან 57 სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული პირია (თუმცა მათ ნაწილს სტატუსი დღემდე არ მიუღია). მათ შორის აღნიშვნის ღირსია 2021 წლის 5 ივლისს მიმდინარე თავდასხმების შედეგად დაზარალებული ჟურნალისტებისა და აქტივისტების 34, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უკანონო მოსმენების გამო დაზარალებული პირების 13 საქმე. სისხლის სამართლის 3 საქმეზე ორგანიზაციები იცავენ ბრალდებული აქტივისტის, ხოლო 6 შემთხვევაში მოწმის სტატუსით გამოკითხულ პირთა ინტერესებს.

I. საპოლიციო იძულების ღონისძიებები

1. პოლიციის უმოქმედობა

2021 წლის 5 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენები საპოლიციო უმოქმედობისა და დემონსტრაციული პასიურობის გამორჩეული შემთხვევა იყო, რის შედეგადაც ათეულობით ჟურნალისტმა და აქტივისტმა სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური დაზიანება მიიღო. როგორც ცნობილია საზოგადოებისთვის, ამ დღეს, სიძულვილის ჯგუფებმა, წინასწარ ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებებით, ხელი შეუშალეს თბილისში, რუსთაველის გამზირზე „ღირსების მარშის“ გამართვას, რომლის ორგანიზატორიც იყო „თბილისი პრაიდი“ და სხვა სამოქალაქო/აქტივისტური ჯგუფები. სახელმწიფომ არათუ ვერ შეძლო ძალადობრივი ფაქტების სათანადოდ პრევენცია შეკრების ადგილას მობილიზებული არაადეკვატური რაოდენობის საპოლიციო ძალების გამოყვანით, არამედ უშუალოდ ინციდენტების აღკვეთის პროცესშიც, პოლიცია იყო უმოქმედო და არაეფექტური.

5 ივლისამდე დღეებით ადრე, სატელევიზიო თუ სოციალურ მედიაში პირდაპირ ეთერში ვრცელდებოდა ცალკეული ჯგუფების ძალადობის შემცველი მუქარები. იმთავითვე აშკარა იყო, რომ „ღირსების მარშის“ შეკრებისა და მსვლელობის ადგილებზე მცირე რაოდენობით საპოლიციო ძალების მობილიზება ვერ უზრუნველყოფდა კონტრაქციის მონაწილეთა მხრიდან ძალადობის შეკავებას, მით უფრო, 2012-2013 წლებში 17 მაისის LGBTQI+ მხარდამჭერი მსვლელობების გამართვის არაერთი ძალადობრივი ხელშეშლის გამოცდილების ფონზე.[2] შედეგად, პოლიციის უმოქმედობის გამო, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, „ღირსების მარშის“ მსვლელობა გააუქმეს.[3] 5 ივლისის მოვლენები ნიშანდობლივია იმითაც, რომ სიძულვილის ჯგუფებმა მიზანმიმართულად იძალადეს არა მხოლოდ აქტივისტებზე, არამედ მედიასაშუალებების წარმომადგენლებზეც, რის შედეგადაც 53-მა ჟურნალისტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური დაზიანება.[4] გარდა ამისა, ამ მოვლენების დროს ფიზიკური დაზიანებები მიიღო 11-მა აქტივისტმა/ფიზიკურმა პირმა და 7-მა სამართალდამცავმა.[5]

2 17 მაისის 9 წელი საქართველოში,ხელმისაწვდომია:: https://tabula.ge/ge/news/646487-17-maisis-9-celi-sakartveloshi [ბოლო ნახვა 23.07.2021];
17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა, იხ: https://bit.ly/3epQFyu [ბოლო ნახვა 23.07.2021];
როგორ აღინიშნებოდა საქართველოში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე – 17 მაისის ქრონოლოგია, იხ:

3 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021 https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/5_ივლისის_მოვლენების_სამართლებრივი_შეფასება_1630915639.pdf

4 ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ, 05.07.2021, ხელმისაწვდომია:https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/88604-dashavebuli-zhurnalistebissia, [ბოლო ნახვა 10.04.2022]

5 საქართველოს გენერალური პროკურატურის 10 აგვისტოს N13/48550 წერილი

მობილიზებული სამართალდამცავების პასიურმა ჩართულობამ ვერც სხვა ძალადობრივი ინციდენტების პრევენცია უზრუნველყო, მათ შორის „სირცხვილიას“ ოფისთან მომხდარი მასშტაბური ძალადობრივი ფაქტების, „თბილისი პრაიდი“-ს ოფისში შეჭრის, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ ეზოში პიროტექნიკის გამოყენების და სხვა ინცინდენტები. უფრო მეტიც, ონლაინგამოცემა „პუბლიკას“ მიერ მომზადებულ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, რომ უკვე გაძლიერებული საპოლიციო ძალების ფონზეც, სამართალდამცავებმა არათუ ძალადობრივი ქმედებების ავტორები არ დააკავეს, არამედ კონტრაქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კონსტანტინე მორგოშია, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, შეუშვეს იმ შენობის სადარბაზოში, სადაც მდებარეობს „სირცხვილიას“ ოფისი. მიზანი იყო, კონტრაქციის მონაწილეები დარწმუნებულიყვნენ, რომ სადარბაზოში და ოფისში აღარავინ იმყოფებოდა.[6]

5 ივლისს პოლიციის უმოქმედობა არ უნდა აიხსნას საფრთხეების არასათანადოდ შეფასებით ან მოუმზადებლობით. ამ მოვლენებში ნათლად ჩანდა, რომ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები იმთავითვე არ აპირებდნენ „პრაიდისთვის“ მსვლელობის ჩატარების შესაძლებლობის მიცემას. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ღია ძალადობრივი ინციდენტების შემდეგ, სახელმწიფოს არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური ნება, გაეტარებინა სამართლებრივი ზომები უშუალოდ ძალადობის ორგანიზატორების მიმართ.[7] ამავდროულად, პოლიციის უმოქმედობას წინ უსწრებდა 5 ივლისს დილით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ მოსახლეობის 95% წინააღმდეგია პროპაგანდისტული „ღირსების მარშის“ და მისი ჩატარება „მიზანშეუწონელია“, „მარშის“ უკან კი „რადიკალური ოპოზიცია“ დგას.[8]

აღნიშნული მოვლენები იყო სიძულვილის ჯგუფების მხრიდან ძალადობის წახალისების, საზოგადოებრივი წესრიგის მოშლის და სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ბაზისური ფუნქციების ვერგანხორციელების ერთგვარი კულმინაცია. ამ მოვლენებმა ასევე აჩვენა, რომ სახელმწიფოს მსგავსი არაეფექტიანობა საფრთხეს უქმნის არა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ წესრიგს და მშვიდობას. ამავდროულად, იკვეთება ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ჯგუფების ინსტრუმენტალიზების ნიშნები, რასაც ადასტურებს 5 ივლისს განვითარებული მოვლენების არაეფექტიანი გამოძიება და ძალადობრივი ინციდენტების უშუალო ორგანიზატორების დაუსჯელობა. ამის შესახებ დეტალურად მე-3 თავში ვისაუბრებთ.

6 „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, https://bit.ly/3DhG3MV, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

7 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021 https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/5_ივლისის_მოვლენების_სამართლებრივი_შეფასება_1630915639.pdf

8 ირაკლი ღარიბაშვილი: „ღირსების მარშის“ ჩატარება „მიზანშეუწონელია“, მის უკან „რადიკალური ოპოზიცია“ დგას, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/430534, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

2. ჭარბი/ინტენსიური საპოლიციო ძალების მობილიზება

ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენების მკაფიო მაგალითი იყო ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მშვიდობიანი პროტესტი, რასაც სახელმწიფო ძირითადად საპოლიციო ძალებით პასუხობდა და რა დროსაც უგულებელყოფილი იყო პრობლემის გადაჭრის კონსტრუქციული და დიალოგზე ორიენტირებული გზები. ხისტი და რეპრესიული მეთოდებით, პოლიცია დაუსაბუთებლად და თვითნებურად ერეოდა რიონის ხეობის მცველების მშვიდობიანი შეკრების უფლებაში. გაძლიერებული საპოლიციო ღონისძიებებით „რიონის ხეობის მცველების“ ფუნდამენტურ უფლებებში ამგვარი უხეში და დაუსაბუთებელი ჩარევა პროცესების დამატებით გართულების რისკებს ქმნიდა.

ხელისუფლება ცდილობდა ფიზიკური ბარიერები შეექმნა და ხელი შეეშალა რიონის ხეობის მცველების ლეგიტიმური, მშვიდობიანი და სამართლიანი პროტესტისთვის. კერძოდ, გასული წლის აპრილიდან, სოფელ ნამოხვანში და მიმდებარე ტერიტორიებზე საპოლიციო ძალების მობილიზებამ ინტენსიური სახე მიიღო და მოვლენები გაძლიერებული საპოლიციო კონტროლის ფონზე ვითარდებოდა. 2021 წლის 3 აპრილიდან რიონის ხეობაში ნამოხვანისკენ მიმავალ გზებზე, აბსტრაქტული საფრთხის მოტივით, პოლიციამ ბლოკპოსტები ჩადგა. ამას მოჰყვა პროტესტის თავდაპირველი კერის, სოფელი ნამოხვანისკენ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა. სამართალდამცავების მიერ განმარტებული არ ყოფილა, თუ რა კონკრეტული და მყისიერი საფრთხის პრევენციას ემსახურებოდა აღნიშნული ღონისძიებები. სამართალდამცავი ორგანოების აღნიშნულ გადაწყვეტიულებას შედეგად მოჰყვა, როგორც გადაადგილების თავისუფლების, ისე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი და დისპროპორციული შეზღუდვა.

დაუსაბუთებელი იყო სამართალდამცავების მოქმედება 2021 წლის 11 აპრილსაც, როდესაც პოლიციამ სოფელ ნამოხვანში რიონის ხეობის მცველების კარვები დაშალა და ადგილზე დარჩენილ აქციის მონაწილეებს პროტესტის ამ ფორმით გაგრძელების შესაძლებლობა არ მისცა. სამართალდამცავებმა კარვების დაშლის საფუძვლად მდინარე რიონის ადიდების საფრთხე მიუთითა, თუმცა ამ რისკების რელევანტურობა დღემდე არ არის დადასტურებული. ამასთან, პოლიციამ აქციის ორგანიზატორებს სოფელ ნამოხვანში, გონივრულ ალტერნატიულ სივრცეში კარვების განთავსებაზეც უარი განუცხადა. აღნიშნული კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ პოლიციის მიზანი არა აქციის მონაწილეების უსაფრთხოება, არამედ კონკრეტულ ადგილას, ნამოხვანში შეკრების შეწყვეტა იყო. აქციის ორგანიზატორებისთვის კი სწორედ სოფელ ნამოხვანის ტერიტორიაზე აქციის ჩატარება გახლდათ გამოხატვის არსებითი კომპონენტი, რადგან ამ ლოკაციიდან უშუალოდ შეეძლოთ ჰესის მოსამზადებელ სამუშაოებზე ვიზუალური დაკვირვება და პროტესტის ადრესატამდე

მიტანა. აქციების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე კი კარვები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო, რათა მონაწილეებს ეფექტიანად ესარგებლათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით.[9]

პოლიცია ნამახვანჰესის აქციის მონაწილეების მიმართ ისეთ რეპრესიულ მეთოდებსაც იყენებდა, როგორებიცაა დაკავება და ჯარიმები. ეს პროცესის ესკალაციას უწყობდა ხელს, თუმცა სამართალდამცავების მიერ ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა მასობრივი კონტროლის მიზნით უფრო აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური შინაარსის პროტესტების დროს.

აღსანიშნავია, რომ ნამოხვანის პროტესტის დროს გამოყენებული საპოლიციო იძულების ღონისძიებების კანონიერება და დასაბუთებულობა სასამართლოშია გასაჩივრებული, თუმცა სასამართლოს ამ დრომდე მოცემულ საკითხზე არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება.

3. შეკრების მონაწილეთა დაკავებისა და საპოლიციო ღონისძიებების გასაჩივრების პრაქტიკა

საპროტესტო აქციებზე სამართალდამცავების მოქმედება და გამოყენებული იძულების ღონისძიებები განსაკუთრებული სიმწვავით აჩვენებს პოლიციის რეპრესიულ სახეს. აქტივისტების დაკავებამ გამოკვეთა პოლიციის გამორჩეული რეპრესიულობა და სიხისტე. საერთო ჯამში, აქციის დროს სამართალდამცავთა მხრიდან გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები აქციის მშვიდობიანი და არაძალადობრივი ხასიათის გათვალისწინებით, არაპროპორციული და არაგონივრული იყო.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მასშტაბურ დაკავებებს,[10] გაზაფხულზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებები უძღოდა წინ, როდესაც პირის დაკავების ვადა 48 საათამდე გაიზარდა და კიდევ უფრო გამკაცრდა სანქცია წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. აღნიშნულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო დიდი სივრცე გახსნა საპოლიციო რეპრესიული მექანიზმებისა და სახდელების თვითნებურად გამოყენებისთვის.[11] შეკრებებისა და მანიფესტაციების მართვის პროცესში, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საპოლიციო ძალის პროპორციულ და

9 საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021. ნამოხვანი_-_შეკრების_და_გადაადგილების_უფლებები_1621496881.pdf(socialjustice.org.ge)

10 2021 წლის 10 ნოემბერს ოპოზიციური პარტიების მიერ თბილისში, სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობის წინ გამართული საპროტესტო აქციების მონაწილეების დაკავების ფაქტები.

11 სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კიდევ უფრო რეპრესიული ხდება, 26.04.2021

თანაზომიერ გამოყენებას. ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ აქციის ცალკეული მონაწილეები გაცდებიან მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს, პოლიციამ ყველა შესაძლო ზომა უნდა მიიღოს იმისთვის, რომ იძულების ღონისძიებები მიემართებოდეს კონკრეტულ სამართალდამრღვევებს და გამოყენებულმა ძალამ მთლიანად შეკრების ჩატარების შესაძლებლობაზე არ იქონიოს არსებითი გავლენა. ამავდროულად, ამ პროცესში ცალსახად პრეზუმფცია უნდა მოქმედებდეს შეკრებისა და გამოხატვის უფლებების სასარგებლოდ.[12]

ყველა სახის შეკრება, გარდა იმისა, რომელსაც აქვს ძალადობრივი მიზნები და უარყოფს დემოკრატიულ ღირებულებებს, იმსახურებს სათანადო დაცვას. მშვიდობიანი შეკრების პირობებში, მისი შინაარსის მიუხედავად, როდესაც დემონსტრანტები არ ერთვებიან ძალადობრივ აქტებში, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს, „შემწყნარებლობის განსაზღვრული დონე“ (degree of tolerance). წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად შეკრების თავისუფლება დაცლილი იქნება სრულად ყოველგვარი შინაარსისგან.[13]

2021 წელს გამართულ პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებს თან ახლდა პოლიციის მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, გამოსარჩევია 2021 წლის 3 ივნისს გენერალური პროკურატურის შენობის წინ ნინოწმინდის ბავშვთა სახლის გარშემო განვითარებული მოვლენების გასაპროტესტებლად გამართული აქცია. პოლიციამ ერთ-ერთი მონაწილე, გიგა მაქარაშვილი გაფრთხილების გარეშე, ძალის გამოყენებით დააკავა ადმინისტრაციული წესით და დაკავების პროცესში მას ხელი მოატეხა. მიუხედავად იმისა, რომ მაქარაშვილს არ გაუწევია რაიმე წინააღმდეგობა[14]. GDI-ს ადვოკატის დახმარებით საპოლიციო ღონისძიება გასაჩივრდა და მისი შესწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო. პროკურატურამ და სასამართლომ მაქარაშვილს უარი უთხრეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა აქტივისტისათვის ფიზიკური დაზიანებების მიყენების არაერთი მტკიცებულება[15].

ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია „უფლებები საქართველოს“ წარმოებაში არსებული სამოქალაქო აქტივისტის, გიორგი მუმლაძის საქმე. 2021 წლის 14 აპრილს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან მიმდინარე აქციის დროს საქართველოს

12 არასამთავრობო ოგანიზაციების პოლიციამ დაარღვია 10 ნოემბერს დაკავებული მოქალაქეების უფლებები – სოციალური სამართლიანობის ცენტრი (socialjustice.org.ge), 10.11.2021

13 Novikova v. Russia, პ. 164, karabulut v. Turkey,§. 37

14 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2021, გვ.8, ხელმისაწვდომია.: https://gdi.ge/uploads/other/1/1419.pdf

15 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დაიწყეს მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავება. მათ შორის იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „მოძრაობა საქართველოსთვის“ წევრი გიორგი მუმლაძე. დაკავების პროცესში ჩართული იყო 7 თანამშრომელი, რომლებიც არაპროპორციული და უკანონო ფიზიკური ძალადობის გამოყენებით საფრთხეს უქმნიდნენ გიორგი მუმლაძის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები იყენებდნენ არაადამიანურ მეთოდებს, ფილტვების და ყელის არეში ხელის მოჭერით, მას არ აძლევდნენ სუნთქვის შესაძლებლობას. საკუთარი თავის დაცვის და გადარჩენის მიზნით გიორგი მუმლაძემ ხელზე უკბინა პოლიციელს. ამ ინციდენტთან დაკავშირებით, გიორგი მუმლაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით აღიძრა, გამოძიება სწრაფად წარიმართა და ამ ეტაპზე საქმე არსებითად განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოძიება დაიწყო პოლიციელების მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ გამოძიება იმდენად არაეფექტურად მიმდინარეობს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა სავარაუდო დამნაშავეების გამოკითხვა. ამასთანავე, თავად გიორგი მუმლაძესაც არ აქვს მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია 2021 წლის 10 ნოემბერს ოპოზიციური პარტიების მიერ თბილისში, სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობის მიმდინარედ ჩატარებული საპროტესტო აქციები, როდესაც აქტიურად ამოქმედდა 2021 წლის გაზაფხულზე საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული საპოლიციო ბერკეტები[16]. შეკრების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, საერთო ჯამში, მხოლოდ აღნიშნულ დღეს, 46 მოქალაქე დააკავეს წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით.

საია იცავდა ამ დღეს დაკავებულ ერთ-ერთ პირს, რომელიც წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით მაშინ დააკავეს, როდესაც ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა. კიდევ ერთი პირი, რომელსაც საია იცავდა, დაკავების მომენტში გადადიოდა გზაზე მოპირდაპირე მხრიდან. სასამართლოში მისი საქმის განხილვისას გამოკვლეული ვიდეომასალით დადგინდა, რომ იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობის მხარეს გადმოსვლიდან 10-15 წამის შუალედში უკვე დააკავეს ისე, რომ ეს დრო თეორიულადაც არ იყო საკმარისი იმ ქმედების ჩასადენად, რომლის ბრალდებითაც განხორციელდა მისი დაკავება.

16 2021 წლის გაზაფხულზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით პირის დაკავების ვადა 48 საათამდე გაიზარდა და სანქციები გამკაცრდა წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის.

როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების შედეგად გამოიკვეთა და მედიაში გავრცელებული კადრებიდანაც ჩანს,[17] მოქალაქეების ნაწილი სამართალდამცავებმა დააკავეს უშუალოდ მოვლენების ეპიცენტრისგან მოშორებით, რა დროსაც არ იკვეთებოდა კონკრეტული პირების მიერ კანონდარღვევის რაიმე ნიშნები. აგრეთვე, დაკავების პროცესში პოლიცია არ იძლეოდა განმარტებებს გამოყენებული საპოლიციო ძალის საფუძვლების თაობაზე. საყურადღებოა ისიც, რომ ადვოკატებს საათების განმავლობაში არ ეძლეოდათ შესაძლებლობა შესულიყვნენ პოლიციის განყოფილებებში დაკავებულების მოსანახულებლად და მათთვის სამართლებრივი კონსულტაციების გასაწევად. დაკავებულების დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლება ზოგიერთ შემთხვევაში 10 საათზე მეტხანს გაგრძელდა და ამ პროცესში მათ უწევდათ პოლიციის ავტომობილებში ან განყოფილებების ეზოში ლოდინი. ამასთან, დაკავებულებს არ ეძლეოდათ ოჯახის წევრების ინფორმირების შესაძლებლობა საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ.[18]

მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლებს ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად (თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია), ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

მშვიდობიანი შეკრების დროს, პოლიციის ქმედებების მართლზომიერება და მიზანშეწონილობა, იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, რამდენად ითვალისწინებენ სამართალდამცავები მათთვის ზოგადად დადგენილ სავალდებულო ქცევის წესებს. გასათვალისწინებელია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია“ ითვალისწინებს მოლაპარაკების შესაძლებლობას, აქციის მონაწილესთან ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით. „სახელმძღვანელო ინსტრუქცია“ ასევე ადგენს, რომ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებამდე, სამართალდამცავი ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა კანონიერი მოთხოვნის შესასრულებ-

17 ფორმულა 11:00 საათზე – 10 ნოემბერი – YouTube [ბოლო ნახვა 10.04.2022]

18 არასამთავრობო ოგანიზაციების 10 ნოემბრის განცხადება- პოლიციამ დაარღვია 10 ნოემბერს დაკავებული მოქალაქეების უფლებები – სოციალური სამართლიანობის ცენტრი (socialjustice.org.ge)

ლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შექმნილ ვითარებაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია/ შეუძლებელია.[19]

გაანალიზებული საქმეებიდან გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში, აქტივისტების დაკავება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თვითნებურად ხდებოდა; დაკავების მიზეზს კი მათი აქციაზე ყოფნა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, „უფლებები საქართველოს“ წარმოებაში არსებული 8 აქტივისტის ადმინისტრაციული წესით დაკავება მოხდა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ვიდრე ისინი დაიწყებდნენ აქციის ჩატარებას. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოძრაობა საქართველოსთვის“ 2022 წლის 22 თებერვალს გეგმავდა მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მშვიდობიანი აქციის ჩატარებას. მათ ამ გეგმის შესახებ წინა დღეებში გაავრცელეს ინფორმაცია. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებებს ჰქონდათ სრული ინფორმაცია აქციის ჩატარების გეგმის შესახებ. ამ შემთხვევაში სამართალდამცავმა ორგანოებმა მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლება აქციის დაწყებამდე შეზღუდეს/აღკვეთეს და 8 აქტივისტი მანამ დააკავეს, ვიდრე ისინი მიაღწევდნენ აქციის გასამართად გათვალისწინებულ დანიშნულების ადგილს და დაიწყებდნენ პროტესტის გამოხატვას. ამ საქმეში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტორიც, რომ დაკავებული 8 პირი განათავსეს, არა მხოლოდ თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, არამედ გადაანაწილეს რამდენიმე ქალაქში, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების მასშტაბი არ გახლდათ დიდი და თბილისის იზოლატორში იყო ბევრი თავისუფალი ადგილი. ამით მნიშვნელოვანად შეიზღუდა დაკავებულების ეფექტიანი დაცვის უფლება.

საგანგაშოა ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც პოლიციას შეუძლია 24 საათიანი დაკავების ვადა, ერთჯერადად გაახანგრძლივოს 24 საათით. პრაქტიკაში, როგორც წესი, შეკრებების დროს დაკავებულთა 24 საათიანი ვადის გასვლის შემდგომ, წინასწარი დაკავების ვადა კიდევ ერთხელ გრძელდება 24 საათით, რისი უფლებაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი წერილობით დაასაბუთებს მტკიცებულებების მოპოვების მიზნით პატიმრობის ვადის გახანგრძლივების საჭიროებას.[20] სამწუხაროდ, ვადის გახანგრძლივების დასაბუთება, როგორც წესი, ზედაპირული და შაბლონურია და ის არ ექვემდებარება ეფექტიან სასამართლო კონტროლს.

მაგალითისთვის, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წარმოებულ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, 2021 წლის 11 ნოემბერს საპატრულო პოლიციის დე-

19 შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

20 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექი, 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი

პარტამენტმა მცხეთა-თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ასკ-ის 247-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ვადის 24 საათით გახანგრძლივების მიზნით მიმართა, რადგან „მოსაპოვებელია ინფორმაცია მისი ადმინისტრაციული სახდელდადებისა და სსკ-ით ნასამართლეობის შესახებ, ამოსაღებია სამხრე ვიდეოკამერების მასალები". სასამართლო პროცესზე კი წარმოდგენილი არ ყოფილა ვიდეოკამერების ჩანაწერები, უფრო მეტიც, დაკავების ოქმის შემდგენმა პირმა, სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ სამხრე ვიდეოკამერა დაკავებისას არ ჰქონია, რადგან დაუვარდა. სხვა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის სამხრე ვიდეოკამერების შემოწმება განხორციელდა, თუ არა, საქმის მასალებში ამ ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ მოიპოვება და არც სასამართლო პროცესზე დადასტურებულა მსგავსი გარემოება. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს კ.ბ-ის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები არ წარუდგენიათ. შესაბამისად, იკვეთება დაკავების თვითნებურად გახანგრძლივება და ნორმის ბოროტად გამოყენება.

დაკავების კანონიერების საკითხი პრობლემური იყო „სირცხვილიას" აქტივისტის, თამარ კურატიშვილის საქმეშიც, რომელსაც საია აწარმოებს. იგი 2021 წლის 13 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობასთან აქცია-პერფორმანსის – „რამდენს დაგვიჭერთ?" მიმდინარეობისას დააკავეს. აღსანიშნავია, რომ აქციის მონაწილეები მდუმარედ და ბანერის გაშლით ცდილობდნენ თავიანთი პროტესტის გამოხატვას, რის შესაძლებლობასაც პოლიციელები არ აძლევდნენ. პროტესტის დაწყებიდან დაახლოებით 5-6 წუთის შემდეგ, თამარ კურატიშვილი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით დააკავეს. დაკავების შემდგომ, იგი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, მაქსიმალური დროით, 48 საათის განმავლობაში იმყოფებოდა. დაკავების კანონიერების საკითხი გასაჩივრებულია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა მისი განხილვა ანგარიშის მომზადების დროისათვის არ არის დასრულებული.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს ის, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, მოსამართლე არ ამოწმებს პოლიციელის მიერ პირის დაკავების კანონიერებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლიდან გამომდინარეობს, ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. აღნიშნული წესის საფუძველზე, სასამართლო უშუალოდ საქმის განხილვისას, უარს ამბობს გამოყენებული საპოლიციო ძალის პროპორციულობისა და კანონიერების შეფასებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ დაკავების პროცეს-

ში პოლიციისადმი წინააღმდეგობა შეიძლება საფუძვლად დაედოს ადმინისტრაციულ ბრალდებას.

პრობლემაა ისიც, რომ დაკავების კანონიერების ადმინისტრაციული გასაჩივრების მექანიზმიც არ არის ქმედითი და ეფექტიანი. „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ 10 ნოემბერს დაკავებული ერთ-ერთი აქტივისტის დაკავების კანონიერება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივრა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი ადმინისტრაციული საჩივარი არ განიხილა და მიუთითა, რომ დაკავების კანონიერების ფაქტის შესწავლა სასამართლოს განსჯად საკითხს წარმოადგენს.[21] ამჟამად საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოშია გასაჩივრებული, თუმცა მასზე ამ დრომდე არაა გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება.

დაკავების კანონიერების შემოწმების არსებული მექანიზმი არაეფექტურია, იმდენად, რამდენადაც სასამართლოს მიერ პირის სამართალდამრღვევად ცნობა, მისი დაკავების კანონიერების შეფასების გარეშე ხდება; დაკავების სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა კი პირს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემდგომ ეძლევა, რაც დროში გაწელილი პროცესია. შედეგად ვიღებთ ვითარებას, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმხილველი მოსამართლე არ აფასებს დაკავების კანონიერებას, პირს სამართალდამრღვევად ცნობს; შინაგან საქმეთა სამინისტრო კი ან არ განიხილავს საჩივრებს ან არ აკმაყოფილებს. შესაბამისად, საქმე ისევ სასამართლოში ბრუნდება და არაერთი თვის გასვლის შემდგომ, სასამართლო თავიდან აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს.

არაეფექტურია სასამართლო კონტროლის განხორციელება ისეთ საპოლიციო მოქმედებებზეც, რასაც ნამოხვანის პროტესტის მიმდინარეობისას ჰქონდა ადგილი (პოლიციის მიერ ბლოკპოსტების ჩადგმა). უფლების მზღუდავი საპოლიციო ღონისძიების კანონიერების შეფასება, ამ შემთხვევაშიც, ჯერ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა და შემდეგ სასამართლოს განსჯადი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მიერ ნამოხვანის პროტესტის დროს გამოყენებული საპოლიციო ღონისძიებები კანონიერად მიიჩნია; 2021 წლის 4 აპრილიდან თვეების მანძილზე პოლიციის ბლოკპოსტების მეშვეობით გადაადგილების უკანონო შეზღუდვაზე კი სასამართლო კონტროლი ამ დრომდე არ განხორციელებულა. საქმე კვლავ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშია.

21 შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MrA 7 2103289485 „სოციალური სამართლიანობის ცენტრს“, 15.12.2021

II. სასამართლო განხილვები

როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების და პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, საქმეთა სასამართლო განხილვებიც უკიდურესად პრობლემურია და არაერთი მიმართულებით ირღვევა პირთა უფლებები. ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო განხილვები ფორმალურ ხასიათს ატარებს, გადაწყვეტილებები კი ინდივიდუალური გარემოებების შეფასების გარეშე, შაბლონურად, კონვეირული წესით მიიღება. პრობლემურია საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან წვრილმანი ხულიგნობის ფართო განმარტება.

განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის დაკავების შემდგომ მოქალაქეების ადვოკატზე წვდომის შეზღუდვა. სამართლებრივ კონსულტაციას/დახმარებას კრიტიკული მნიშვნელობა სწორედ დაკავების საწყის პერიოდში აქვს, რადგან არსებობს პოლიციის მხრიდან იძულების გზით ადმინისტრაციული წესით დაკავებულისგან ინფორმაციის მიღების რისკები. საანგარიშო პერიოდში იყო საქმეები, როცა დაკავებულებთან დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელებისთვის აუცილებელი კომუნიკაციის გართულების გამო, ადვოკატს დაკავებულებთან კონტაქტი მხოლოდ რამდენიმე წუთით, პროცესის დაწყებისას ჰქონდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა ინდივიდუალურ საქმეთა განხილვა, კრიტიკულად მოკლე დროში (რამდენიმე წუთით) მიმდინარეობდა, რა დროსაც, დაკავებულთა სამართალდამრღვევად მიჩნევისა და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისთვის საკმარის მტკიცებულებად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შაბლონური ოქმი და პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები გამოიყენებოდა. წარმოებაში არსებულ საქმეთაგან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ერთგვაროვნად იყო შევსებული, მოწმეებად კი ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთი პოლიციელები იკითხებოდნენ, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ სამართალდარღვევის აღკვეთასა თუ დაკავების პროცესში. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლები ხშირად ვერ იხსენებდნენ, თუ კონკრეტულად სად მოხდა პირის დაკავება.

საიას წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე, პოლიციის მიერ წარმოდგენილი იყო ვიდეოჩანაწერები, სადაც იკვეთებოდა, რომ პირი გზაზე გადმოსვლიდან და აქტიურ საპროტესტო მსვლელობის შეერთებიდან 10-15 წამის შუალედში დააკავეს. მეორე მხრივ, ამავე საქმეზე დამკავებელი ამტკიცებდა, რომ დაკავებულ პირს მოუწოდა შეეწყვიტა გინება და მისცა გონივრული ვადა ამ ქმედების შეწყვეტისთვის

(მისი მითითებით, ეს ვადა შეადგენდა დაახლოებით 10 წუთს). მოწმის ჩვენება და მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება აცდენილი იყო ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც ცნო პირი სამართალდამრღვევად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო განხილვისას, საკმარისად არ ფასდებოდა წვრილმანი ხულიგნობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი – საზოგადოებრივი წესრიგისა თუ მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა. გარდა ამისა, სასამართლო ფაქტობრივად არ მსჯელობდა შეკრებების სოციალურ თუ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და „საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინების" საკითხზე, იგი არსებითად ეყრდნობოდა პოლიციის თანამშრომელთა ზოგად ფორმულირებებს. მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში, აქტივისტის მიერ პროტესტის მიმდინარეობისას გამოთქმული სიტყვები „ამოწყდეს ბიძინა ივანიშვილი" მისი დაკავების საფუძველი გახდა და ამ სიტყვებისთვის, სასამართლომ ის სამართალდამრღვევად ცნო[22].

რაც შეეხება, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, – ასკ 173-ე მუხლი, ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მოთხოვნა ან განკარგულება იყოს კანონიერი, საფუძვლად ედოს სამართლის კონკრეტული ნორმა, რომელიც აღნიშნულ სუბიექტს ანიჭებს პირისგან კონკრეტული შინაარსის ქმედების განხორციელების ან ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას.[23] საქმეთა სასამართლო განხილვისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საკმარისი სიცხადით არ მოწმდება, თუ როდის არის პოლიციელის მოთხოვნა კანონიერი, აგრეთვე, არ მიეთითება მოთხოვნის სამართლებრივი და კანონისმიერი საფუძველი. უფრო მეტიც, როგორც წესი, თავად სამართალდამცავებიც ვერ ასახელებდნენ, თუ რა კანონიერი მოთხოვნა წაუყენეს პირს. პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიერ რომელიმე კონკრეტული კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მტკიცების ნაცვლად, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში პოლიციელები უთითებედნენ შაბლონურ ფრაზას: „არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და გაუწია მას წინააღმდეგობა", კონკრეტული გარემოებების აღწერის გარეშე, რაც ქმედების ჩადენის დადასტურების საფუძველი ხდებოდა.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ობიექტური, ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება. ამის ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი ინცინდენტის სრული ვიდეო-აუდიო ჩანაწერი იქნებოდა, თუმცა შესწავლილ საქმეებში, როგორც წესი, სამართალდამცავები მიუთითებდნენ,

22 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის კობა ჩაგუნავას 2021 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება დ.მ-ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე

23 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილება

რომ სამსახურებრივი სამხრე ვიდეოკამერები ან დაზიანებული იყო, არ იყო ჩართული. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ჩვენებების ნამდვილობის დადასტურება ნეიტრალური მტკიცებულებით არ ხდებოდა. ასეთი ჩანაწერის წარდგენის შესაძლებლობა ჰქონდათ, როგორც უშუალოდ დაკავების ღონისძიებაში მონაწილე თანამშრომლებს, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ სხვა სამართალდამცავებს, თუმცა, როგორც წესი, არც ასეთი ინფორმაცია წარედგინებოდა სასამართლოს.

შესაბამისად, საქმის განხილვისას მოსამართლეს, როგორც წესი, უხდებოდა სამართალდამცავის და შეკრების მონაწილის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს შორის არჩევანის გაკეთება. თანაბარი მტკიცებითი ძალის მქონე ორ ერთგვაროვან მტკიცებულებას შორის, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი იყო, რის საფუძველზე ანიჭებდა მოსამართლე პოლიციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას უპირატესობას, რატომ მიიჩნევდა ასეთ ჩვენებას უფრო მაღალი სანდოობის მქონედ და რატომ იღებდა მასზე დაყრდნობით საბოლოო გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, საქმეთა განხილვებისას სასამართლო დაცვის მხარეს მეტწილად უარს ეუბნებოდა დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანი ისეთი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მტკიცებულებათა მოპოვება და მოწმეთა წარდგენისთვის პროცესის გადადება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოებისა და პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ სასამართლოს მიერ სანქციების შერჩევის პრინციპი დაკავებულთა მიმართ არათანმიმდევრული და დაუსაბუთებელი იყო და გადაწყვეტილების მიღება პირის ინდივიდუალური მახასიათებელების შეფასების გარეშე ხდებოდა. გაუგებარი იყო, მოსამართლე რა კრიტერიუმების საფუძველზე უფარდებდა პირებს ჯარიმებს და რა გარემოებზე დაყრდნობით – ადმინისტრაციულ პატიმრობებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასამართლოში განხილვის ზემოაღნიშნული პრობლემები, მაგალითად, თვალნათლივ გამოიკვეთა ალიკა კუპრავას საქმეში, რომელსაც GDI იცავდა. კუპრავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დააკავეს[24] და ამ პროცესში მას არ მისცეს დარეკვის შესაძლებლობა.[25] კუპრავამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ დარბაზში მყოფი პოლიციელები არ იყვნენ მისი დამკავებლები[26]. აღსანიშნავია, რომ ვერცერთმა პოლიციელმა ვერ გაიხსენა, დაკავებისას ვინ დაა-

24 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ 37

25 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 39-40

26 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ.40

დო კუპრავას ბორკილები და შემდეგ ვინ მართავდა საპატრულო ეკიპაჟის საჭეს[27]. ასევე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდომლობები გამოკითხული პირების სასამართლოში დაკითხვისა და ვიდეოჩანაწერების გამოთხოვისა და დაკავების კადრების წარდგენის შესახებ[28]. ამის მიუხედავად, მხოლოდ პოლიციელთა განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ კუპრავას 3 დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ასევე აღსანიშნავია საიას თელავის ოფისის ერთ-ერთი საქმე. კერძოდ, 2022 წლის 26 თებერვალს თელავის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ზ. ხ. თავის მეგობრებთან ერთად (დაახლოებით 10-12 ადამიანი) სოლიდარობას უცხადებდა უკრაინელ ხალხს და აპროტესტებდა რუსეთის უკრაინაში შეჭრას. პოლიციამ ზ.ხ. და კიდევ ერთი პირი დააკავა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით. კერძოდ, პოლიცია ზ. ხ.-ს ედავებოდა ქუჩაში გინებას, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული დაკავება 48 საათის განმავლობაში.

ამ საქმეზე საინტერესო გარემოება იყო ის, რომ პოლიციის მხრიდან ვერანაირი მტკიცებულების წარმოდგენა ვერ მოხდა ზ.ხ.-ს მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტის დასადასტურებლად. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ ერთი პოლიციელის განმარტებას, რომელიც ადასტურებდა, რომ ზ.ხ. ქუჩაში იგინებოდა. ამის საპირისპიროდ, საქმეზე დაკითხული 3 მოწმე აცხადებდა, რომ ზ.ხ.-ს მხრიდან გინებას და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მტკიცებულებების არარასებობის მიუხედავად, ზ.ხ. სასამართლომ მაინც სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა სანქციის ნაცვლად გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა.

დაკავებულთა საქმეების განხილვამ, კიდევ ერთხელ, მძიმედ წარმოაჩინა სასამართლოში არსებული ვითარება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური პრობლემა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სათანადო სარგებლობას. ეს პრობლემები, ყველაზე მწვავედ სწორედ შეკრება-მანიფესტაციების დროს დაკავებული პირების მიმართ ვლინდება. როგორც წესი, საქმეები უკიდურესად მცირე დროში, ობიექტური შეფასებისთვის საჭირო და აუცილებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში განიხილებოდა. სასამართლო განხილვებს მკვეთრად გამოხატული ხელწერა ჰქონდა, რა დროსაც, ის, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით უფარდებდა ადმინისტრაციულ სახდელებს მოქალაქეებს.

27 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 40

28 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ. 38-39.

III. გამოძიების არაეფექტურობა

ხელისუფლების პოლიტიკური ნების არარსებობაზე მიუთითებს 2021 წლის 5-6 ივლისს, „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოვლენილი მასობრივი, წინასწარ ორგანიზებული ძალადობის საქმეები, როდესაც ძალადობრივი შეკრების არც ერთი ორგანიზატორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის, მიუხედავად მათი მხრიდან ძალადობისკენ ღია და პირდაპირი მოწოდებებისა, ასევე შეკრების ადგილზე კონკრეტული პირებისთვის ინსტრუქციების მიცემისა. გარდა ამისა, გამოძიება ამ დრომდე არ არის დაწყებული შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი), მაშინ როცა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები ცალსახად არსებობდა 5-6 ივლისის მოვლენების დროს და ამ ქმედებებს კარგად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, დევნის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის მუხლებით მიმდინარეობს[29].

5 ივლისამდე კონტრაქციის ორგანიზატორებისა და მხარდამჭერების განცხადებები ხელისუფლებისთვის განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო. მედიასაშუალებებით რამდენიმე დღით ადრე ვრცელდებოდა განცხადებები და დეტალური გეგმები „ღირსების მარშის“ ჩაშლისა და ძალადობის გამოყენების თაობაზე. კონტრდემონსტრაციის ორგანიზატორები იყენებდნენ ჰომოფობიურ, სიძულვილისა და ღირსების შემლახავ ლექსიკას[30] და უკვე 4 ივლისს, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გაშლილი ჰქონდათ კარვები მომდევნო დღეს განსახორციელებელი ქმედებების დასაგეგმად.[31] ამავე დღეს ჟღერდებოდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარაც.[32] სიძულვილის ჯგუფების მიერ დაანონსებული აქციის ფორმაც და განზრახვებიც დასაწყისიდანვე არ ყოფილა „მშვიდობიანად“ სახელდებული, შეიცავდა ძალადობის გამოყენების და მისი წახალისების აშკარა ელემენტებს და საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ სხვათა შეკრების უფლების რეალიზებას, არამედ მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების უფლებას. ამასთანავე, წარსული წლების გამოცდილება დამატებით ამძაფრებდა იმ განცდას, რომ კონტრდემონსტრანტები ნებისმიერი შესაძლო გზით აღკვეთავდნენ ღირსების მარშს.

29 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 30.07.2021 https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-5-ivliss-/14835

30 https://www.radiotavisupleba.ge/a/31334344.html, [ბოლო ნახვა 10.04.2022]

31 შეიძლება იყოს მსხვერპლი, კიდევ ერთხელ ვაანონსებ – გურამ ფალავანდიშვილის მორიგი მუქარის შემცველი განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/203650,[ბოლო ნახვა 10.04.2022]

32 იქვე

სამწუხაროდ, აღნიშულ მოვლენებზე წარმართული გამოძიების არაეფექტიანობა და მისი ფრაგმენტულობა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ხელისუფლებას არ აქვს რეალური ნება, მსგავსი ძალადობრივი ინცინდენტები ადეკვატურად იყოს აღკვეთილი და ნებისმიერი ჯგუფის გამოხატვის თავისუფლება სათანადოდ – დაცული. მეტიც, გამოძიების არაეფექტიანობა ერთი მხრივ, ახალისებს ძალადობრივ ჯგუფებში დაუსჯელობის სინდრომს, მეორე მხრივ, კი მას აქვს „მსუსხავი ეფექტი“ ქვეყანაში ზოგადად გამოხატვის უფლებაზე.

მაგალითისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 5 ივლისიდანვე აქტიურად ჩაერთო „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე დაზარალებულ პირთა საქმეებში. სხვადასხვა გამოძიების ფარგლებში, ორგანიზაციამ 21 დაზარალებულის ინტერესები დაიცვა. გამოკითხვიდან მალევე, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საიას დაცვის ქვეშ მყოფ ყველა პირს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. საიას დაცვის ქვეშ მყოფი 7 პირის მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე ბრალი 21 პირს წარედგინა. მათგან ყველას შეეფარდა პატიმრობა, რომელიც გადასინჯვის შემდეგაც ძალაში დარჩა. თუმცა, საიას დაცვის ქვეშ მყოფი დანარჩენი 14 პირის მიმართ ჩადენილ ძალადობრივ შემთხვევებზე გამოძიება დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ ძალადობის მსხვერპლები და მინიჭებული აქვთ დაზარალებულის სტატუსი, სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ არის დაწყებული.[33] ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ პროკურატურამ უარი განაცხადა „თბილისი პრაიდის“ წევრების და ლგბტ აქტივისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი დღე იდევნებოდნენ ჰომოფობიური მოტივებით და მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ იყო. GDI-ის დახმარებით 5-მა ასეთმა პირმა მოითხოვა დაზარალებულის სტატუსის მიღება, თუმცა არც პროკურატურამ და არც სასამართლომ ასეთი სტატუსი მათ არ მიანიჭა.[34]

2021 წლის 5-6 ივლისის საქმეებზე, „ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)“ 11 საქმეზე ჩაერთო, მათ შორის 9 დაზარალებული პირის ინტერესებს წარმოადგენდა. ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფი დაზარალებულებიდან სტატუსი არ აქვთ მხოლოდ „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს“ და იმ ორ აქტივისტს, რომლებიც „ადამიანის უფლებათა სახლზე“ მოძალადე პირების თავდასხმის შედეგად დაზიანდნენ. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიმართვის მიუხედავად, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს“, დაზარალებულის სტატუსის მინიჭე-

33 იხ. საიას ანგარიში „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“, ხელმისწვდომი: https://bit.ly/3KR8qVb, [ბოლო ნახვა 10.04.2022]

34 GDI-ის განცხადება: თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ივლისს ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლების (აქტივისტების) საჩივარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა, 29.10.2021

ბაზე უარი ეთქვა, როგორც პროკურატურაში, ისე გასაჩივრების შემდეგ სასამართლოში.[35]

აღსანიშნავია, რომ 5-6 ივლისის მოვლენებისათვის პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და დასჯის ნაცვლად, ხელისუფლებამ ადმინისტრაციული სახდელი დააკისრა ძალადობის შედეგად რეალურად დაზარალებულ პირს, „თბილისი პრაიდის“ წევრ გიორგი თაბაგარს, რომლის ინტერესებსაც GDI კერძოდ, 5 ივლისს გამომძიებელმა გიორგი თაბაგარს დაურეკა და „თბილისი პრაიდის“ ოფისში მისვლას სთხოვა მაშინ, როდესაც თაბაგარი მანქანით გაურბოდა მოძალადეებს.[36] შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თაბაგარს ძალადობის ეპიცენტრში მისვლა მოსთხოვა მაშინ, როდესაც სწორედ პოლიციის უმოქმედობის გამო თაბაგარის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა. ტელეფონზე საუბრისას თაბაგარმა პოლიციელის მიმართ უცენზურო სიტყვები გამოიყენა,[37] რის გამოც სასამართლომ იგი სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე.[38]

არაეფექტიანი გამოძიების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია 2021 წლის 13-14 სექტემბერს მედიასაშუალებებით გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე დაწყებული სამართლებრივი პროცესები. უკანონო მოსმენების და მიყურადების საკითხი, სამწუხაროდ, ამ დრომდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებრივ გამოწვევად რჩება ქვეყანაში და ამ დანაშაულზე გამოძიების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად წარმართვა პროკურატურის განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს. სამწუხაროდ, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაზე სახელმწიფომ წარსულშიც არაერთხელ ვერ შეძლო ეფექტიანი რეაგირება და გამონაკლისი არც 13-14 სექტემბერს გავრცელებული ჩანაწერები აღმოჩნდა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა სავარაუდოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან უკანონოდ მოპოვებულ ფაილებს, სადაც სასულიერო პირების, ჟურნალისტების, ადვოკატების, დიპლომატების თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების პირადი კომუნიკაციის დეტალები იყო დამუშავებული. გავრცელებული მასალების მოცულობის, მასშტაბისა

35 2021 წლის 5 ივლისს, დაახლოებით 3 საათზე, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ (HRHT) ოფისზე შეტევა განახორციელეს „ღირსების მარშის“ მიმართ აგრესიულად განწყობილმა, ჰომოფობიური ჯგუფის მოძალადე წევრებმა. იხ: „ადამიანის უფლებათა სახლის“ განცხადება 28.03.2022 http://www.hrc.ge/365/geo/ [ბოლო ნახვა 12.04.2022]

36 გიორგი თაბაგარის სამართალდამრღვევად ცნობა საშიში პრეცედენტის შემქმნელია, იხ.: https://gdi.ge/ge/news/giorgi-tabagaris-sakme.page

37 გიორგი თაბაგარის სამართალდამრღვევად ცნობა საშიში პრეცედენტის შემქმნელია, იხ.: https://gdi.ge/ge/news/giorgi-tabagaris-sakme.page

38 გიორგი თაბაგარის სამართალდამრღვევად ცნობა საშიში პრეცედენტის შემქმნელია, იხ.: https://gdi.ge/ge/news/giorgi-tabagaris-sakme.page

და შინაარსიდან გამომდინარე, იკვეთება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის სავარაუდო სისტემური დანაშაული, რომლის ეფექტური გამოძიებაც სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა.[39]

ფარული ჩანაწერების გავრცელების ფაქტზე, საქართველოს პროკურატურამ გამოძიება კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის მუხლით დაიწყო. უწყების მიერ 18 სექტემბერს გავრცელებული განცხადებით,[40] გამოძიების ფარგლებში, გავრცელებული ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების კანონიერების, ასევე ავთენტურობის დასადგენად მიმდინარეობს საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირების გამოკითხვები და საჭირო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, როგორც მონაწილე პირთა იდენტიფიცირების, ასევე აღნიშნული მასალების ავთენტურობის, მასალების შემდგენი და მომპოვებელი პირების დადგენის მიზნით.

მიუხედავად გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა, სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება ამ შემთხვევაშიც არაეფექტიანია, ვინაიდან ამ დრომდე არც მასალების ავთენტურობაა დადასტურებული და არც გამოკითხული პირები არიან დაზარალებულად ცნობილნი. ასევე ამ დრომდე საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, მაგალითად, გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ, თუ არა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, ან ზოგადად რა სტადიაზეა საქმე და რა ტიპის საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება.

წარსულში უკანონო მოსმენების და ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემთხვევების გამოუძიებლობა და მართლმსაჯულების განუხორციელებლობა კიდევ უფრო ახალისებს სამართალდამცავების თვითნებობას და ასევე აჩვენებს ამ საკითხების გამოძიების პოლიტიკური ნების არარსებობას. ამავდროულად, საქართველოში პირადი ცხოვრების გაუმართლებელი ხელყოფის რისკები დიდწილად თავად არასრულყოფილი საკანონმდებლო მოწესრიგებიდან და უსაფრთხოების სამსახურის დაბალი ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორც მოსმენების საკითხის, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნდამენტური რეფორმის საჭიროებას.[41]

39,,სოციალური სამართლიანობის ცენტრი“: ფარული მიყურადება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში – ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, 2021

40 საქართველოს პროკურატურის განცხადება (pog.gov.ge), 18.09.2021

41 „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“: ფარული მიყურადება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში – ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, 2021

შეჯამება

გასულ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური და პოლიტიკური კრიზისების მოგვარების სტრატეგიისა და მშვიდობაზე ორიენტირებული პოლიტიკის არარსებობა. ხელისუფლება მშვიდობიან დემონსტრაციებს ყველა ჯერზე მხოლოდ საპოლიციო ძალებით პასუხობდა, რა დროსაც უგულებელყოფილი გახლდათ პრობლემის გადაჭრის კონსტრუქციული გზები. განსაკუთრებით მწვავე იყო 5 ივლისს განვითარებული მოვლენები, როდესაც ხელისუფლება არ აღმოჩნდა მშვიდობიანი გამოხატვის, ადამიანის ღირსების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უფლების დაცვის მხარეს. მეტიც, მან დაუშვა და ირიბად წაახალისა ძალადობრივი მოქმედებები. აღნიშნულის ფონზე, კიდევ უფრო მძიმე სურათს ქმნის ის ფაქტი, რომ ძალადობის ორგანიზატორების სამართლებრივი და ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა დღემდე არ დამდგარა.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა სამართალდამცავი სისტემის მოქმედებებისა და სტრატეგიების სისტემური ხარვეზები, რაც საბოლოოდ, დემონსტრანტების მიმართ მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზაციის შეზღუდვისა და მათ წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენების წინაპირობა გახდა. კვლავ წარმოჩინდა ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების პრობლემურობა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შაბლონური საფუძვლებით. აღნიშნული ნორებმის ფართო ინტერპრეტაციით და დაკავების მექანიზმის გამოყენებით უხეშად ირღვევა შეკრება-მანიფესტაციისა და გამოხატვის უფლებები, რასაც ასევე აქვს „მსუსხავი ეფექტი“ მომავალში ამ უფლებებით სარგებლობაზე.

ბუნდოვანი და ადამიანის უფლებების სტანდარტებისგან დაშორებული კანონმდებლობა, სამართალდამცავი ორგანოების დაბალი ანგარიშვალდებულება და არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი, მთლიანობაში ქმნის ფართო არეალს საპოლიციო თვითნებობისთვის და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვისთვის. აღნიშნული პრობლემები არაახალია ქართული კონტექსტისთვის. სამოქალაქო ორგანიზაციები წლების განმავლობაში ითხოვნდნენ, როგორც კანონმდებლობის, ისე საპოლიციო და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის საჭირო ნაბიჯებს. სამწუხაროდ, გაუმჯობესების ნაცვლად, ბოლო წლებში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება გატარდა, რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა საპოლიციო თვითნებობის არეალი და მოქალაქეთა უფლებების დარღვევის რისკები. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითებია ადმინისტრაციული დაკავების გახანგრძლივებული ვადები და გაზრდილი ადმინისტრაციული ჯარიმები, რომლის გადახდის ვალდებულება სულ უფრო მძიმე ეკონომიკური ტვირთია რიგითი მოქალაქისთვის თუ სამოქალაქო აქტივისტისთვის.

რთულ პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლებების დაცულობას. სამწუხაროდ, გაღრმავებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, სულ უფრო რთული ხდება საზოგადოებრივი პროტესტის საჯაროდ დაფიქსირება იმგვარად, რომ ამას არ მოჰყვეს პოლიციის მხრიდან ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სახელმწიფოს მხრიდან ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენება მხოლოდ ზრდის კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი დაძაბულობების რისკებს და ამცირებს ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.